MAC GEORGIA

მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: 1505

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?

- სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებაში მცხოვრები მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება;
- მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება;

პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

- 24-საათიანი მომსახურების მიწოდება სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სათანადო კვებით უზრუნველყოფა;
- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა;
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომელშიც შედიან ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, პედიატრი, ბავშვის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშვება და მისი შესრულებისა და პერიოდული გადასინჯვის უზრუნველყოფა;
- მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, ყოველდღიური ზრუნვა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და შესაბამისი უნარების განვითარება;
- სათანადო სამედიცინო ზრუნვა;
- საჭიროების შემთხვევაში - ჯანდაცვის დაწესებულებაში ბავშვის დინამიკური მეთვალყურეობის უზრუნველყოფა და საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება;
- ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფა და ბავშვის მდგომარეობისა და განვითრებაზე შესაბამისი მეთვალყურეობის დაწესება;
- ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს;
- საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ბენეფიციარის დახმარება კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;
- ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალიზებული ვაუჩერი.

რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვევო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დაუკავშირდით ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზს - 111

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1. თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

---

2. რომელია პროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაცია?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

4.ვის შეიძლება მივმართო თუ სერვისის განმახორციელებელი უარს ამბობს ჩემს მიღებაზე ან არ ხდება ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურეობის მიღება?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალე-ბულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202